



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

მარიჯანი



მარიჯანი

მარიჯანი (ფსევდ.; ნამდვ. გვარი მარიამ მარკოზის ასული ალექსიძე, ქალიშვილობაში – ტყემალაძე) [12 (24). VI. 1890, თბილისი, – 9. V. 1978, იქვე], პოეტი. 1918–22 სწავლობდა თსუ-ის ფილოს.-ფილოლ. ფაკ-ტბე. პირველი ლექსი „ტბა“ 1916 გამოაქვეყნა, პირველი კრებ. „ლექსები“ – 1921. მ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ნატიფი ლირიზმი, ორიგინალური თვალთახედვა. 1926 გამოვიდა მ-ის საბავშვო პოემა „ნელი ცირკში“, რ-მაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა პოეტის შემოქმედებითი გები – შემდეგ იგი, ძირითადად, საბავშვო ლექსებსა და მოთხრობებს წერდა. მისი ნაწარმოებები მოზარდ თაობას აცნობდა ცხოვრებას, სიკეთეს, სამშობლოს სიყვარულს (მოთხრობები: „ზურა ატმის ქალაქში“, 1933; „ბედნიერი თაობა“, 1937 და სხვ.; ლექსების კრებულები: „ჩვენი ქვეყანა“, 1938; „პარაშუტი“, 1939 და სხვ.), ასახავდა მოზარდი თაობის, მოსწავლეთა ყოველდღიურობას, სწავლისა და შრომის პროცესს (ლექსთა კრებ. „წლიდან წლამდე“, 1955 და სხვ.; მოთხრობები: „მამიდა თეოს მარანი“, 1948; „კეთილი გულით“, 1951; „გელა“, 1954; „ჩვენი ეზოს ბავშვები“, 1958 და სხვ.). 1949 გამოვიდა მ-ის „ლირიკული ლექსები“, 1969 – კრებ. „ისევ ლექსებით“.

მ-მა თარგმნა ს. მიხალკოვის, კ. ჩუკოვსკის, მ. ალიგერის, ა. ტოლსტოის საბავშვო თხზულებები; ი. გრიშაშვილთან ერთად კი – მოლიერის „ტარტიუფი“, ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“, ნ. პოგოდინის „თოფიანი კაცი“. მისი თარგმნილი პიესები იდგმებოდა ქართული თეატრების სცენებზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჭილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მარიჭანი კითხულობს ლექსი „მზითვის სარკე“:
<https://www.youtube.com/watch?v=oNJdrEQ5BPw&list=PLue6znsWBAfdUX4MSh1O2Brix&index=238>

თხზ.: რჩეული, თბ., 1973; მამიდა თეოს მარანი, თბ., 2010; რჩეული საბავშვო მოთხოვნები (2 წიგნად), თბ., 2011.

ლიტ.: ღ ვ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ი ა., ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურა (1921-40), თბ., 1966.

ქ. ბურჯანაძე